



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო



KA011885600600718

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30 / ივნისი / 2018 წ.

№ 386/ს

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის № 117 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებათა დელეგირების, დოკუმენტების დამტკიცების, ტაქსონომიისა და სახელდების სტანდარტის, სააგენტოს დოკუმენტების ელექტრონულ სანახში განთავსებისათვის დადგენილი ფორმის და სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობითი დოკუმენტების ფორმისათვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 მაისის №343/ს ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის 5.28 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების პოლიტიკა თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულებისათვის გაცნობა.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს თავმჯდომარე

სოსო გიორგაძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მიერ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე
კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის
ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების პოლიტიკა**

მუხლი 1. პოლიტიკის არსი და ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის (შემდგომში - ავთენტიფიკაციის) სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების პოლიტიკას.
2. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატთან მიმართებით დოკუმენტი ეფუძნება QCP-n-qscd პროფილის მოთხოვნებს (იდენტიფიკატორი 0.4.0.194112.1.2).
3. ავთენტიფიკაციის სერტიფიკატთან მიმართებით დოკუმენტი ეფუძნება NCP+ პროფილის მოთხოვნებს (იდენტიფიკატორი 0.4.0.2042.1.2).
4. პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორია:
 - ა) ავთენტიფიკაციის სერტიფიკატთან მიმართებით: 1.3.6.1.4.1.37733.10.4.1.1.0
 - ბ) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატთან მიმართებით: 1.3.6.1.4.1.37733.10.3.1.1.0
5. წინამდებარე პოლიტიკა ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე - <https://id.ge/pki>. აქვე ქვეყნდება პოლიტიკის ყველა ცვლილების პროექტი, პოლიტიკაში შესული ყველა ცვლილება და მათი შესაბამისი პოლიტიკის კოდიფიცირებული ვერსია.

მუხლი 2. სანდო მომსახურების მიმწოდებელი

1. სანდო მომსახურების მიმწოდებელი წარმოადგენს სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელიც ასრულებს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდებისთვის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.
2. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისათვის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატების გაცემა და მომსახურება სრულად ხორციელდება ღია გასაღების ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სადაც:
 - ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემები ტექნიკურად წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული დახურული გასაღების, შემდგომში „კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დახურული გასაღების“, სახით;
 - ბ) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შემოწმების მონაცემები ტექნიკურად წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული ღია გასაღების, შემდგომში „კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ღია გასაღების“, სახით;

გ) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ღია და დახურული გასაღებები ქმნიან კრიპტოგრაფიული გასაღების წყვილს;

დ) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი ტექნიკურად წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული გასაღების სერტიფიკატის სახით, X.509v3 ფორმატში.

3. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისათვის, ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი წარმოდგენს კრიპტოგრაფიული გასაღების სერტიფიკატს X.509v3 ფორმატში. ის გაიცემა და იმართება ღია გასაღების ინფრასტრუქტურის საშუალებით.

მუხლი 3. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი და სერტიფიკატის გამოყენების წესი

1. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის დანიშნულებაა ელექტრონულ დოკუმენტებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნა.
2. დაუშვებელია სუბიექტზე გაცემული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენება ყველა სხვა დანიშნულებით, გარდა წინამდებარე მუხლში მითითებულისა. ასევე დაუშვებელია მისი გამოყენება სხვა სერტიფიკატების გასაცემად, მათი გაუქმების შესახებ ინფორმაციაზე ან დროის აღნიშვნის ტოკენზე ხელმოსაწერად.
3. თითოეულ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატში შეიტანება ამ პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გაცემის დროისთვის წინამდებარე დოკუმენტის მოქმედი რედაქციის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
4. სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გაუქმებული სერტიფიკატების სიისა და სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურების მეშვეობით.
5. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატში სუბიექტის ინფორმაციის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სერტიფიკატის განმეორებით გაცემისას.
6. სერტიფიკატის განმასხვავებელი სახელის ველში სუბიექტის სახელი (ველი CN) შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში - სუბიექტის სახელის და/ან გვარის ან პირადი ნომრის ცვლილებისას. ასეთ შემთხვევაში შეცვლას ექვემდებარება პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა.

მუხლი 4. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი და სერტიფიკატის გამოყენების წესი

1. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის დანიშნულებაა ელექტრონულ სისტემებში სუბიექტის რწმუნების მაღალი ხარისხით იდენტიფიკაცია და ავთენტიფიკაცია, მასთან უსაფრთხო კავშირის დამყარების და ინფორმაციის უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით.
2. დაუშვებელია ფიზიკურ პირზე გაცემული ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის გამოყენება ყველა სხვა დანიშნულებით, გარდა წინამდებარე მუხლში მითითებულისა. ასევე დაუშვებელია მისი გამოყენება სხვა სერტიფიკატების გასაცემად, მათი გაუქმების შესახებ ინფორმაციაზე ან დროის აღნიშვნის ტოკენზე ხელმოსაწერად.

3. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატში შეიტანება ამავე პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გაცემის დროისთვის წინამდებარე დოკუმენტის მოქმედი რედაქციის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
4. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი გაიცემა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატთან ერთად და სერტიფიკატში სუბიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები შეიტანება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის ანალოგიურად. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის მოთხოვნა კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია.
5. სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გაუქმებული სერტიფიკატების სიისა და სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურების მეშვეობით.

მუხლი 5. მომსახურების მიწოდების წესი

1. სანდო მომსახურების მიმწოდებლის საკადრო შემადგენლობა განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის წესები და პირობები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, შესაბამისი პოლიტიკითა და სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით (შემდგომში - სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესი).
2. მომსახურების საფასურები განსაზღვრულია „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით.
3. მომსახურება შეესაბამება კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკურ რეგლამენტს.
4. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი გაიცემა ETSI EN 319 411-1 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 1: General requirements სტანდარტის 1.2.2 (2018-04) ვერსიის შესაბამისად.
5. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი გაიცემა ETSI EN 319 411-2 (Electronic Signatures and Infrastructures (ESI); Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates) სტანდარტის 2.2.2 (2018-04) ვერსიის შესაბამისად.

მუხლი 6. სუბიექტის გასაღების წყვილის გენერაცია და მართვა

1. სუბიექტის გასაღების წყვილი როგორც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის, ისე ავთენტიფიკაციისათვის იქმნება და ინახება უშუალოდ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის ელექტრონულ მატარებელზე, მოწმობიდან რამე (მათ შორის, დაშიფრული) სახით ამოკითხვის შესაძლებლობის გარეშე.

2. სერტიფიკატის გამცემი ორგანოების, სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურების დახურული გასაღებების მესამე პირისათვის მიბარება დაუშვებელია.
3. სერტიფიკატის გამცემი ორგანოების დახურული გასაღებების სარეზერვო ასლის აღება და რეზერვიდან აღდგენა უზრუნველყოფილია სააგენტოში დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მუხლი 7. ინფრასტრუქტურული საშუალებების მართვა, ოპერაციული და ფიზიკური კონტროლი

ინფრასტრუქტურული საშუალებების მართვა, ოპერაციული და ფიზიკური კონტროლი რეგულირდება სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით.

მუხლი 8. ტექნიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით.

მუხლი 9. აუდიტორული შემოწმების ძირითადი პრინციპები და მასშტაბი

1. აუდიტორული შემოწმების დანიშნულებაა სანდო მომსახურების მიმწოდებლის ყოველდღიური ფუნქციონირების შესაბამისობის შემოწმება შინაგანაწესის მოთხოვნებთან, სააგენტოში დამტკიცებულ პოლიტიკებთან/ინსტრუქციებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.
2. აუდიტორული შემოწმების შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები აისახება აუდიტორის ანგარიშში, რომელიც წარედგინება სააგენტოს.

მუხლი 10. დაკავშირებული დოკუმენტები

პოლიტიკა დაკავშირებულია უფლებამოსილებათა დელეგირების, დოკუმენტების დამტკიცების, ტაქსონომიისა და სახელდებისა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში არსებული სხვადასხვა აქტივისათვის დამოუკიდებელი იდენტიფიკატორის მინიჭების სტანდარტებთან.

მუხლი 11. პოლიტიკის გადახედვის გეგმა და პროცედურები

პოლიტიკის მუდმივ სრულყოფას და მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებთან უზრუნველყოფს სანდო მომსახურების მიმწოდებლის ხელმძღვანელი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ.